


რელიგიური პლურალიზმი, ექსტრემიზმი და დემოკრატია:

მონიტორინგი და დებატები

მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development



თბილისი წერეთლის გამზირი # 72

ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37

ელ-ფოსტა : info@cipdd.org

იანვარი-მარტი 2017წ

Newsletter N. 2

პანკისი

26.01.2017

„ იმამი ბექხან ფარეულიძე პანკისში სალაფიტების როლზე“

პანკისის ხეობის სალაფიტური მეჩეთის იმამი ბექხან ფარეულიძე პანკისის ხეობაში სალაფიტების როლზე: „თუ ვინმეს აინტერესებს, შეუძლიათ იხილონ, რა როლი ითამაშეს სალაფიტებმა პანკისში მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოფხვრაში. ხალხს იტაცებდნენ, ყიდიდნენ ნარკოტიკებს და ჩადიოდნენ მკვლელობებს. დღეს ვერ იპოვით ვერცერთ ადამიანს, ვინც ყიდის ან ყიდულობს ნარკოტიკს; ძალიან რთულია მათი პოვნა, ვინც სვამს ან ქუჩაში ეწევა. რა თქმა უნდა, ასეთები არიან, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ადრე. თქვენ ვერ გაიგებთ, რომ ვინმემ ცოლი მოკლა ან ზიანი მიაყენა ოჯახს. სახალხო დამცველმაც კი თქვა, რომ ხეობაში არ დაფიქსირებულა ოჯახში ძალადობის არცერთი

შემთხვევა. უბრალოდ შეხედეთ იმას, რაც მეზობელ ქალაქებსა და სოფლებში ხდება - პანკისის რეგიონში უკეთესი მაჩვენებლები აქვს.

ჩვენთან ძალიან სტაბილური სიტუაციაა და დიდწილად რელიგიური ლიდერების წყალობით. ჩვენ ვიღებთ განათლებას და ხეობაში ვბრუნდებით იმისთვის, რომ ვიბრძოლოთ და ვიქადაგოთ ჭეშმარიტი ფასეულობები. რა თქმა უნდა, თავისი როლი ითამაშა პოლიციამაც, მაგრამ რელიგიური ლიდერების წვლილი უდაოა. პოლიცია ყველგანაა, მაგრამ დანაშაულები მაინც ხდება იმ ადგილებში, სადაც სხვა რელიგიაა. ჩვენ გულმოდგინედ ვმუშაობთ და ვაგრძელებთ ამის გაკეთებას იმიტომ, რომ ეს ისლამია - რელიგია, რომელიც უარყოფს და ებრძვის საზოგადოების ნაკლოვანებებს“.

<http://radioway.ge/ka/news/people/item/316-pankisshi-radikalizazia-ar-aris-%E2%80%93-interviu-xeobis-salapituri-temis-imamtan>

იხილეთ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე :

<http://oc-media.org/imam-of-pankisi-there-is-no-radicalisation-here/>

პანკისი

4.01.2017

„სოფელ დუისის კულტურის სახლის დაზიანების მცდელობა“

2017 წლის 3 იანვარს სოფელ დუისის კულტურის სახლი, სადაც არასამთავრობო ორგანიზაცია კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდის ოფისი მდებარეობს, უცნობმა პირებმა დააზიანეს და ცეცხლი წაუკიდეს. პანკისის სალათიტური მეჩეთის იმამი ბექსან ფარეულიძე ამის თაობაზე აცხადებს:

„ჩვენ წლების განმავლობაში ვმუშაობდით იმისთვის, რომ პანკისის ხეობაში დანაშაული და კრიმინალი აღკვეთილიყო, ამ მიმართულებით თვალსაჩინო შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ გუშინ განვითარებული მოვლენების შემდეგ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, პანკისელი მუსლიმების ეჭვმიტანილებად და სავარაუდო დამნაშავეებად გამოცხადება გვიჩინს კითხვებს და გვიტოვებს შთაბეჭდილებას რომ ეს სწორედ ისლამის და მუსლიმი ხალხის დისკრედიტაციის სურვილით ჩადენილი ქმედებაა. მომხდარი ფაქტის შედეგად თუ ვინმე აღმოჩნდა წაგებული ეს არც საზოგადოებრივი ცენტრია, რომელიც საბედნიეროდ არ დამწვარა და არც კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი, რადგან თუ მეტი მხარდამჭერი და გულშემატკივარი არ გაუჩნდა, საბედნიეროდ ზარალი არ მიუღია ამ ორგანიზაციას არც რეალური დამნაშავეა დაზარალებული, რომლის ვინაობაც ჯერ არ გამჟღავნებულა, თუმცა მოახერხეს და ჩირქი მოსცხეს ხეობის მუსლიმებს, გრძელდება მუსლიმების მიზანმიმართული დისკრედიტაცია.“

<http://radioway.ge/ka/news/people/item/285-pankisis-xeobis-imami-beqخان-pareuliwe-duisshi-momxdar-inzidents-gamoexmaura>
<http://netgazeti.ge/news/165958/>

„ გუშინ განვითარებული მოვლენის შემდეგ, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, პანკისელი მუსლიმების ეჭვმიტანილებად და სავარაუდო დამნაშავეებად გამოცხადება გვიჩენს კითხვებს და გვითვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს სწორედ ისლამის და მუსლიმი ხალხის დისკრედიტაციის სურვილით ჩადენილი ქმედებაა.“

<http://www.radiotavisupleba.ge/a/khandzari-duisshi/28213029.html>

იმამ ვახტანგ თარეულიძის განცხადება:

„უმიზეზოდ მოხდა სალაფიტების დაკავშირება ამ ინციდენტთან, ყველანაირი ფაქტის გარეშე. მე არ ვიცი ვის რაში დასჭირდა ამის გაკეთება. მე ერთს ვიტყვი, ჩვენ ნამდვილად არანაირი ინტერესი არ გვქონდა გაგვეკეთებინა ასეთი რამ. ველოდებით გამოძიებას და იმედი გვაქვს, რომ დამნაშავე დაისჯება.“

<http://radioway.ge/ka/news/people/item/295-diskusia-pankisshi-%E2%80%93-arasamtavroebis-rolida-gamoxvevbi-xeobashi>

სამუფთო სამმართველო

1.02.2017

„სამუფთო სამმართველოს ვიზიტი ირანში“

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები მუფთ ბეგლარ ქამაშიძის ხელმძღვანელობით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ. საქართველოს მუფთის მრჩეველი თემურ გორგაძე: “ფერეიდანში ვერ ჩავვდივით, თუმცა იქ მცხოვრები რამოდენიმე ქართველი იმყოფებოდა ისპაჰანში ჩვენთან შესახვედრად. სრულიად საქართველოს მუფთი მათ დაპირდა რომ ზაფხულში კიდევ ერთხელ ეწვევა, ამჯერად ფერეიდანში ჩავა და იქ მოინახულებს იქ მცხოვრებ ქართველებს. შეხვედრაზე ძირითადად საუბარი ეხებოდა ქართული ენისა და ქართული კულტურის შენარჩუნებას. თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს სამუფთო სამმართველომ ამ კუთხით. აქედან წალეხული გვქონდა 200-მდე დედაენის წიგნი რომელიც მომზადებული და დაბეჭდილია სპეციალურად უცხოეთში მცხოვრები მოჰაჯირი ქართველებისთვის.“

<http://www.ttimes.ge/archives/75555>

დაპირისპირება ბათუმში

14.03.2017

„ტარიელ ნაკაიძე ბათუმში მომხარ დაპირისპირებაზე“

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა „არჩევანში“ ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელმა ტარიელ ნაკაიძემ 11 მარტს ბათუმში მომხდარ ინციდენტზე ისაუბრა. მან გააკრიტიკა ვიცე-პრემიერის კახი კალაძის განცხადება, როდესაც ბათუმის მოვლენებზე საუბრისას გამოიყენა ტერმინი „ეთნიკური დაპირისპირება“

„მე ვფიქრობ, რომ ბატონმა კალაძემ ბოდიში უნდა მოუხადოს აჭარელ მოსახლეობას იმიტომ, რომ ეს იყო შეურაცხყოფა“

„არ ვფიქრობ, რომ ლოლობერიძე(ბათუმში აჭარის პოლიციის ხელმძღვანელის წინააღმდეგ გამართული აქციის ორგანიზატორი- მერაბ ლოლობერიძე), ამ შემთხვევაში, ძალიან დიდი აქტორი არ არის ამ თემის. ამ თემის მთავარი აქტორი არის ხელისუფლება, რომელიც უნდა დაფიქრდეს და არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ხელისუფლება მოვა და ვინ იქნება სათავეში, ყოველთვის უნდა დაფიქრდეს, თუ რა სახის პოლიტიკა უნდა შეიმუშავოს რეგიონისთვის.“

[HTTP://RUSTAVI2.COM/KA/NEWS/70690](http://rustavi2.com/ka/news/70690)

რუსთავი 2-ის საქმე

3.03.2017

„ქართველ მუსლიმთა კავშირის პოზიცია რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით“

2017 წლის 2 მარტს უზენაესმა სასამართლომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის 60%-იანი წილის მესაკუთრედ ქიბარ ხალვაში დასახელდა. გადაწყვეტილების შესახებ ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე ქართველ მუსლიმთა კავშირის ოფიციალურ Facebook-ის გვერდზე განცხადებას აკეთებს, რომელიც ცხადდება რუსთავი 2-ის ეთერშიც.

"რუსთავი2-ის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ გამახსენა ნიგვზიანი, სამთაწყარო, წინწყარო, როცა არ გვეძლეოდა საშუალება, პარასკევის ლოცვა შეგვესრულებინა. თვალწინ დამიდგა, სპეცრაზმის თანხლებით როგორ ხერხავდნენ ჭელის მინარეთს. სწორად აქტიური სამოქალაქო საზოგადოების და თავისუფალი მედიის დამსახურებაა ის, რომ აიძულა ხელისუფალი და მუსლიმებმა შევძელით, შევასრულოთ პარასკევის ლოცვა და აღვმართეთ ხელმეორედ მინარეთი."

"ვფიქრობ, დღეს გაჩუმება ნიშნავს მოქალაქეობრივ ვალდებულებაზე, ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების და სიტყვის თავისუფლებაზე უარის თქმას, რამაც შეიძლება, ქვეყანა და თითოეული ჩვენგანი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაგდოს."

"რუსთავი2 დღეს სწორედ თავისუფალი სიტყვის სიმბოლოა და ყველა ჩვენთაგანი ვალდებული ვართ, ეს მნიშვნელოვანი ღირებულება დავიცვათ. ქართველი მუსლიმები თქვენს გვერდით ვართ. რუსთავი2 ჩვენია"

<https://www.facebook.com/georgianmuslimsunion/posts/1078292398948622>

<http://rustavi2.com/ka/news/69687>

მოხეს მეჩეთი

29.01.2017

„მოხის კომისიის სხდომა გადაიდო“

30 იანვარს თბილისში მოხის სადავო შენობის ირგვლივ შექმნილი კომისიის სხდომა უნდა გამართულიყო, რომელიც გადაიდო. გადადების მიზეზზე სამცხე-ჯავახეთის მუფთი მამუკა ვაშაყმაძე:

“ ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვი. სხდომაზე გასატანი საკითხები

მუფთთან ერთად უნდა გავიარო, იმიტომ, რომ ყველა ინფორმაცია მუფთთან იყრის თავს. ხვალისთვის ჩა მოსვლას ვერ მოასწრებს, საზღვარგარეთ არის და შეხვედრები აქვს. მე როგორც ვიცი, სამშაბათს უნდა დაბრუნდეს.“

<http://sknews.ge/index.php?newsid=11409>

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

კონტაქტი: თბილისი წერეთლის გამზირი # 72

ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37

ელ-ფოსტა : info@cipdd.org



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

პროექტი ხორციელდება დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (NED) მხარდაჭერით